ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7443159

ნომერი: AR11085164

თარიღი : 02.04.2025

გაცემის თარიღი : 10.04.2025

გაცნობის თარიღი : 10.04.2025

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობა; ქალაქი თბილისი , დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობა, მიმდებარედ (ნაკვეთი 09/177);

დამკვეთი-განმცხადებელი
- რევაზ ტყემალაძე პ/ნ 01024004230
- ჭავჭავაძის 12

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2025 წლის 02 აპრილის №AR11085164 განცხადებით მომართა რევაზ ტყემალაძემ და მოითხოვა სამსახურის 2024 წლის 24 დეკემბრის №7331982 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

სამსახურმა, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ სამსახურის 2024 წლის 24 დეკემბრის №7331982 ბრძანებით შეთანხმდა №01.72.14.009.650 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2024 წლის 24 დეკემბრიდან 2026 წლის 24 აპრილის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.

წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2024 წლის 24 დეკემბრის №7331982 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას. კერძოდ, განმცხადებელი განმარტავს, რომ შეთანხმებულ ფასადებზე, 0.00 ნიშნულის გეგმაზე და კარ-ფანჯრების სპეციფიკაციაში ფიქსირდება ხარვეზი „ფანჯარა 1“-ის მითითებასთან/დაფიქსირებასთან დაკავშირებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ითხოვს წარმოდგენილი ფასადების, 0.00 ნიშნულის გეგმის და კარ-ფანჯრების სპეციფიკაციის ჩანაცვლებას.

დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ წარმოდგენილ 0.00 ნიშნულის გეგმაზე, ფასადებზე და კარ-ფანჯრების სპეციფიკაციაზე დატანილი ცვლილებები არ შეესაბამება სამსახურის 2024 წლის 24 დეკემბრის №7331982 ბრძანებით შეთანხმებულ საპროექტო დოკუმენტაციას. შესაბამისად, აღნიშნული ცვლილებები არ წარმოადგენს სამსახურის 2024 წლის 24 დეკემბრის №7331982 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების სამართლებრივ საფუძველს, იგი საჭიროებს სამშენებლო დოკუმენტაციის ცვლილებას (კორექტირებას).

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან განმცხადებლის მიერ მითითებული ცვლილებები არ წარმოადგენს ტექნიკური შეცდომის გასწორების სამართლებრივ საფუძველს, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა სამსახურის 2024 წლის 24 დეკემბრის №7331982 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებასთან დაკავშირებით.

წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.